
ბავშვთა კარდიოლოგიური და კარდიოქირურგიული სამსახურის განვითარება
პოლიტიკა/ფინანსები
ინტეგრაცია/კოორდინაცია
განათლება
ხარისხი
საკანონმდებლო მხარდაჭერა
ბიუჯეტის განსაზღვრა
დაფინანსების სქემის შემუშავება
მონიტორინგი
ჯანდაცვის სამინისტრო
განათლების სამინისტრო
სამედიცინო უნივერსიტეტები/ კოლეჯები
ევროპისა და ადგილობრივი დარგობრივი ასოციაციები
საექთნო
რეზიდენტურა
დიპლომისშემდგომი
ნაციონალური რეგისტრის დანერგვა
ორგანიზაციული სტრუქტურა
ინდიკატორები
მედპერსონალის თვითგანვითარების წახალისება/სქემა

1. **პოლიტიკა/ფინანსები**
   - ➢ შესაბამისი საკანონმდებლო აქტივობა, რომელიც დაარეგულირებს და უზრუნველყოფს:
     - ფეტალური ჩარევის შესაძლებლობას;
     - ბავშვთა კარდიოლოგის სპეციალობის ჩამოყალიბებას;
     - კარდიოექოსკოპიის ლიცენზიის პირობებს;
     - გაიდლაინ/პროტოკოლების შემუშავება/დამტკიცებას;
     - ახალშობილთა გულის მანკების სკრინინგის პროგრამის ხელშეწყობას.

   - ➢ ფინანსური ბლოკი:
     - ბავშვთა კარდიოქირურგიისა და ინტერვენციული კარდიოლოგიის მინიმალური ბიუჯეტის განსაზღვრა;
     - ყველა კატეგორიის კარდიოქირურგიისა და ინტერვენციის განფასების რევიზია, დადგენა;
     - სახარჯი მასალებისა და მედიკამენტების ხარისხის კრიტერიუმების განსაზღვრა.

2. **ინტეგრაცია/კოორდინაცია**
   - ➢ კოორდინაცია ყველა დაინტერესებულ მხარესთან:
     - ბავშვთა კარდიოქირურგიის სერვისების მიმწოდებელი კლინიკები;
     - სამედიცინო უნივერსიტეტები და კოლეჯები (მათ შორის პოსტდიპლომური განათლების);
     - დარგობრივი ასოციაციები.
   - ➢ დარგის განვითარების სქემის შემუშავება და მისი ცვლილების მოქნილი სისტემის შექმნა.

3. **ხარისხი**
   - ნაციონალური რეგისტრის დანერგვა (რაც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს ჰქონდეს ზუსტი სტატისტიკა და აწარმოოს თითოეული პაციენტისადმი მიწოდებული სერვისების მიზანშეწონილობა და ხარისხი);
   - რეგისტრის მონაცემების, როგორც მონიტორინგის ინსტრუმენტის გამოყენება;
     ხარისხის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება.

4. განათლება:
    - სპეციალობების  მიხედვით კომპეტენციების განსაზღვრა;
    - საუნივერსიტეტო ერთეულის ფორმირება;
    - სასწავლო პროცესის სქემის შემუშავება (სასწავლო მასალა და გამოცდები);
    - დიპლომისშემდგომი დარგობრივი ლიცენზიის შენარჩუნების სისტემის შემუშავება;
    - შესაბამისი გაიდლაინ-პროტოკოლების შემუშავება და დამტკიცება;
    - დარგობრივი ასოციაციის ფუნქციების დადგენა.

ჯო ენის სამედიცინო ცენტრის მონაწილეობა:

- ყველა კატეგორიის კარდიოქირურგიისა და ინტერვენციის  განფასების რევიზია, დადგენა;
- სახარჯი მასალებისა და მედიკამენტების ხარისხის კრიტერიუმების შემუშავება;
- დარგის განვითარების სქემის შემუშავება და მისი ცვლილების მოქნილი სისტემის შექმნა;
- ნაციონალური რეგისტრის დიზაინის შემუშავება;
- ნაციონალური რეგისტრის დანერგვა;
- სტატისტიკის წარმოება;
- ხარისხის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება;
- სპეციალობების  მიხედვით კომპეტენციების განსაზღვრა;
- საუნივერსიტეტო ერთეულის ფორმირება;
- სასწავლო პროცესის სქემისა და მასალის შემუშავება (სასწავლო მასალა და გამოცდები, მათ შორის კარდიოექოსკოპიის 5 თვიანი კურსის);
- დიპლომისშემდგომი დარგობრივი ლიცენზიის შენარჩუნების სისტემის შემუშავება;
- შესაბამისი გაიდლაინ-პროტოკოლების შემუშავება;
- დარგობრივი ასოციაციის ფუნქციების დადგენა.

მოკლე დროში განსახორციელებელი (0-6 თვე) ეფექტური ინტერვენციები

- ყველა კატეგორიის კარდიოქირურგიისა და ინტერვენციის  განფასების რევიზია, დადგენა;

- მინიმალური ბიუჯეტის განსაზღვრა;
- სახარჯი მასალებისა და მედიკამენტების ხარისხის კრიტერიუმების შემუშავება.
- ფეტალური ჩარევის შესაძლებლობა (პირველ ეტაპზე შესაძლებელია ახალშობილზე ჩარევის ლიცენზიის მქონე სპეციალისტებს დაემატოთ, პარალელურად აუცილებელია ფეტალურ კანონზე მუშაობის დაწყება);
- კარდიოექოსკოპიის ლიცენზიის პირობები (5 თვიანი სასწავლო კურსის შემდეგ უფლება მიეცეს კარდიო-რევმატოლოგს);
- გაიდლაინ/პროტოკოლებზე მუშაობის დაწყება;
- ნაციონალური რეგისტრის შემუშავება და  დანერგვა;
- ხარისხის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება.
- დიპლომისშემდგომი დარგობრივი ლიცენზიის შენარჩუნების სისტემის შემუშავება (ხანმოკლე სასწავლო პროგრამების შემუშავება და დამტკიცება);
- გაიდლაინ-პროტოკოლების შემუშავება და დამტკიცება;
- დარგობრივი ასოციაციის ფუნქციების დადგენა;
- ახალშობილთა გულის მანკზე სკრინინგის პროგრამის დანერგვა,  მის ფარგლებში შესაბამისი სპეციალისტების გადამზადება და ეფექტური ანგარიშგებისა და უკუკავშირის სქემის დანერგვა.

შედეგები:

- დარგის სწორი მიმართულებით მდგრადი განვითარება;
- ბავშვთა სიკვდილობისა და ავადობის შემცირება;
- ხარჯთეფექტურობა, ბიუჯეტირებისა და ხარჯვის თანხვედრა;
- ზუსტი სტატისტიკის/ანალიტიკის წარმოება;
- ჯო ენის სამედიცინო ცენტრის რეგიონის როგორც სამკურნალო, ასევე სასწავლო ჰაბად გადაქცევა;
- პროცესების და გამოსავლების სრული მონიტორინგის შესაძლებლობა.